

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 7

ხაშური

2018 წლის 05 მარტი

14-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე,
ალექსანდრე სიმონიშვილი, გურამ მაზიაშვილი, ლევან გამრეკელი.

სხდომას ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან
ცენგერაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი
ხათუნა გელაშვილი. (მოწვეული პირველ საკითხზე)

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 8 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური
რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2017 წლის დეკემბრის, 2018 წლის იანვრისა
და თებერვალის თვეში გაწეული მუშობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხს. ანა ხარებავა

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეორე კვარტალის სამუშაო
გეგმის განხილვის შესახებ

მომხს. ანა ხარებავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი პროექტით წარმოდგენილი სახით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2017 წლის დეკემბრის, 2018 წლის იანვრისა და თებერვალის თვეში გაწეული მუშობის ანგარიშის შესახებ.

საკითხის ირგვლივ კითხვები დასვეს: ნატო კიკაძემ, ალექსანდრე სიმონიშვილმა, ანა ხარებავამ, რაზეც მომხსენებელმა ხ. გელაშვილმა გააკეთა შესაბამისი განმარტებები.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0)

კომისიამ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ანგარიში 2017 წლის დეკემბრის, 2018 წლის იანვრისა და თებერვალის თვეში გაწეული მუშობის შესახებ მიიღო ცნობად.

ინფორმაცია თან ერთვის

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.


აღნიშნა, რომ საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი, მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე სიმონიშვილმა, ჯონდო კაპანაძემ, იმედა მეტრეველმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა წარედგინოს საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე



ანა ხარებავა